საქართველო
ხარაგაული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 5

08/01/2018

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმის წარმოების საკითხებში სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამარტივებული კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილების „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ 27 - ე და 28 -ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. **გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმის წარმოების საკითხებში სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად გამარტივებული** კონკურსი საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

2. გამარტივებულ კონკურში მონაწილეთათვის დადგინდეს შემდეგი საკონკურსო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება
- ქართული ენის კარგი ცნობა,
- სამუშაო გამოცდილება არანაკლებ ერთი წლისა
- საოფისე კომპიუტერული პროგრამების Microsoft Office Word, Microsoft Office Excel -ის კარგ დონეზე ცოდნა;

3.გამოცხადებული ვაკანტური პოზიციის სამუშაო ფუნქციებია:

- უზრუნველყოს საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომების მოწვევის ორგანიზება, - უზრუნველყოს საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების ოქმების გაფორმება, უზრუნველყოს საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების ტექნიკური მომსახურება,
- ახორციელებს საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს აპარატის უფროსის დავალებით სხვა უფლებამსილებებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

4.საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების საქმის წარმოების საკითხებში სპეციალისტის შრომის ანაზღაურებაა 500 ლარი

5. გამარტივებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველმა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვეფგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით ელექტრონულად კონკურსის გამოცხადების დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება,

ბ) დიპლომისა და პირადობის მოწმობის ასლები,

გ) სამუშაო გამოცდილების დამადასურებელი დოკუმენტი

6.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მისამართია ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, დაბა ხარაგაული 9 აპრილის ქუჩა #15.

7. გამარტივებული კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

ა)კანდიდატების მიერ წარდგენილი განცხადების გადარჩევა

ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

8. ვაკანტური თანამდებობის თაობაზე განაცხადის მომზადება და საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით გამოქვეყნება უზრუნველყოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატმა.

9.. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"–ს 180–ე მუხლით დადგენილი წესით.

სახელი გვარი

<ფაქსიმილე>

თანამდებობა__

მანანა ბარბაქაძე



საკრებულოს თავმჯდომარე